საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბდულა-ბეგი

აბდულა-ბეგი, არჩილი, ქართლის მეფის იესეს და ერეკლე I-ის ასულის ელენეს ძე, ქართლის სამეფოს ტახტის პრეტენდენტი. 1735 სპარსელებმა თავდაპირველად გორის, შემდეგ კი თბილისის ნაიბად (გამგებლად) დანიშნეს. XVIII ს. 40-იანი წლების დამდეგს თბილისში მჯდომი ირან. ხანის მრჩეველი იყო. 1744 საუფლისწულოდ გადასცეს ქვემო ქართლი. 1747 თეიმურაზ II ირანს გაემგზავრა და ქართლის მმართველობა ერეკლე II-ს დაავალა, ხოლო ა.-ბ. დამხმარედ დაუტოვა. ა.-ბ-მა გამეფება მოინდომა, გამაგრდა თავის რეზიდენციაში – სამშვილდის ციხეში, დამხმარედ მიიწვია დაღესტნელი მოთარეშენი, მიიმხრო თბილისის ციხეში მყოფი ყიზილბაშები და ერეკლე II-ს შეებრძოლა. ერთწლიანი ბრძოლა ა.-ბ-ის დამარცხებით დამთავრდა.

წყარო: ორბელიანი პ., ჰამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის *გამოც.*, თბ., 1981.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

დ. მეგრელაძე